საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

ტროტესტარეგო უკვლა კვეუნისა, შეერთდით!

შაბათი 25 იანვარი 1919 წ.

ბრძოლა

ფასი 50 ფშ.

№ 19 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 19

გა[illegible] დღეს, 1 საათი 12 მანეთი ფასდაც ნომერი [illegible] 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც ჩვეულ გვერდზე, ისე შეოთხეზე, ბეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოწერილი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან კერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერილებმა ყველი შემდეგი მიმართა უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა მიმართა გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის მიმართა: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24

ტელეფონი 16—62.

№ 19 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 19

ღრმად დამწუხრებულნი დედა დესპინე სტურუასი, დები: ნინა და ფაქიზო, ძმები: ეკვთიმე, მიხელ და მელიტონ, რძლები: დავლინა და ლუკიანე სტურუებისა და ძმისწული გიორგი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

მაპარო პეტრეს ძე სტურუას

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის გამოსვენების დღე არის დანიშნული შაბათს, 25 იანვარს დ. კულაში. (2—2)

გულდამწვარნი ძმა ვარლამი, რძალი აგრაფინე და ელენე, მეძები: გიორგი და იორდანე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

პოლა ფარნაოზ ს ძე ჩარგეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება კვირას დილის 10 საათ. საკუთარი მინიდან (ორთაჭალაში). მიცვალებულს წაასვენებენ ნიკოლოზის ეკლესიაში, ხოლო იქიდან პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი ჭირისუფალნი, ძმები: ამბაკო და ბეგლარ მიხეილის ძენი, რძლები: თეო შიოს ასული და ივდითი ნიკოლოზის ასული, ძმის შვილები: შუშანიკა ამბაკოს ასული, ელენა, თამარა და მიშა ბეგლარის ძე და ასულნი ქართველიშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას, 26 იანვარს (ახ. სტ.) გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ალექსი მიხეილის ძის და ელენე გიორგის ასულის ქართველიშვილებისა

სულის მოსახსენებლად ქ. სამტრედიაში წმ. გიორგის ეკლესიაში.

მეგობრეთა კავშირის საბჭო გულდამწვარი აცხადებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა კავშირის წევრი

პოლა ფარნაოზის ძე ჩარგეიშვილი

გამოსვენება მოხდება კვირას დილის 10 საათზე საკუთარ მინიდან ორთაჭალაში. მიცვალებულს წაასვენებენ ნიკოლოზის ეკლესიაში, ხარფუხში და იქიდან პეტრე პავლეს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფოსო, შვილები: ანდრია, მიტილდა და ნინა ჟორდანიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

დიმიტრი იოსეგის ძე ჟორდანიას

გარდაცვალებას, ქ. თფილისში. გამოსვენება მოხდება მიხეილის საადმყოფოდან შაბათს, 25 იანვარს, საღამოს 4 საათ. სადაფრზე, საიდანაც წაასვენებენ ქ. ლანჩხუთში. ლანჩხუთში ცხედარი იქნება კვირას 12 ს. დასაფლავება მოხდება იქვე სამშაბათს, 28 იანვარს. (2—1)

ღრმად დამწუხრებული და დესპინე და სიძე იაკინთე შავარდნაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ექიმი დიმიტრი იოსეგ ს ძე ჟორდანიას

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება მიხეილის საადმყოფოდან შაბათს 25 იანვარს საღამოს 4 საათ. სადაფრზე, საიდანაც წაასვენებენ ქ ლანჩხუთში (2—1)

გაზეთ „ერთობის“ ასოთ ამწყობნი აუწყებენ თავიანთ ამხანაგ-მეგობრებს, რომ 22 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე გაზეთის ასოთ-ამწყობი

გიორგი მიქაუტაძე

გამოსვენება კვირას 26 იანვარს დილის 10 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა № 99. მიასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო იოანეს ასული, დედა იკატერინე, და დისნა, ძმები: მიხეილ და ილია მიქაუტაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გიორგი მამანტის ძე მიქაუტაძე.

გამოსვენება კვირას 26 იანვარს, დილის 10 საათზე. ნიკოლოზის ქუჩა, № 99. მიასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი დედა მა: თინათინ (თიკო), სოლომონ სულხანის ძე, მამიდა მარიამ სულხანის ასული, ძმა ვანჩა ნასიძენი, დეიდა სოფიო ჯანდიერიშვილისა ქმრით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ახლად გარდაცვალებულის მეორე გინაზის მეორე კლასის მოწაფის პატარა

სულხანის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას ოცდა იქვს იანვარს პეტრე პავლეს ეკლესიაში წირვა დაიწყება ათ საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

გულდამწვარი ჭირისუფლები: დიმიტრი და ქალია, ივანე დიმიტრის ძე, ალექსანდრე, დომინიკა დიმიტრის ძენი, საშა, ვასიკო, ან ჩა და პეტრე ეკვთიმეს ძენი ჟღენტები, მართა ბიჭიას ასული ჟღენტისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი საყვარელი შვილის, მეორე შვილიშვილის, მესამენი დაუვიწყარის ძმის, მეოთხენი ძვირფასი ბიძაშვილის და მეხუთე მაზლიშვილის თფილისის საშუალო სახელმწიფო კულტურულ ტექნიკურ საწავლებლის მესამე სპეციალურ კლასის მოწაფის

ივანე (ვანიკო) დიმიტრის ძის ჟღენტის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ს. კვალითში, პარასკევს 24 იანვარს.

ღრმად დამწუხრებულნი მესამე სპეციალური კლასის აგრონომიული განყოფილების მოწაფენი, თფილისის საშუალო კულტურულ ტექნიკური სასწავლებლისა აუწყებენ ნაცნობ ამხანაგებს დაუვიწყარი ამხანაგის

ივანე (ვანო) დიმიტრის ძე ჟღენტის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 22 იანვარს ს. კვალითში (ზისტოფონი).

გულ დათუთქული ცოლი ანატოლია ბავშვებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 26 იანვარს ქაშვეთის ეკლესიაში დილის 12 საათზე დანიშნულია ნახევარი წლის პანაშვიდი ტრადიციულად გარდაცვლილის

ალექსანდრე გესარიონის ძე ნემსაძის

[illegible] (2—1)

ღრმად დამწუხარებულნი დავით ქრისტესიანის ძე, ნატალია სიმონის ასული, გიგა, ვანო და იოსები დავითის ძენი, ვარო, თამარა და ლიდა ტუხაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას, 26 იანვარს ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი

ანნა დავითის ასულის გვრიტიშვილის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი იწყება დილის 10 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი მიხეილ პავლეს ძე და კატეშა გვრიტიშვილები, ანნა პავლეს ასული გულაბოვისა და ეფ. ნიკოლოზ პავლეს ძე გვრიტიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას, 26 იანვარს ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნებ 40 დღის წირვა და პანაშვიდი

ანნა დავითის ასულის გვრიტიშვილის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი დაიწყება დილის 10 საათზე.

ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრანზიტის გასადვილებლად და სახელმწიფო ბინაურულებრივი ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, მწიფო ხაზინის ვალდებულებათა 1 წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდი 1920 წლ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებათ: 5.000 მ., 1.000 მან., 500 მან., 100 მან. და 25 მან.

თუ მაურველნი ალმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5.000 მან. და 1.000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობითი ვალდებულებათ, რაიცა უნდა ჩაწეროს თფილისის ხაზინის დავთრებში.

ალნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.

ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავლის დასაფარავად და აგრეთვე საფინანსოთაც.

ვალდებულების შეძენა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულათ.

ვალდებულებანი შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში და საკრედიტო კოოპერატივებში. 10 3

აგრარული კანონი

7 დღის დავის შემდეგ პარლამენტმა მიიღო აგრარული კანონ-პროექტი. ჩამორთმეული მიწები დაურიგდება გლეხებს სულ მცირე, შეღავათიან ფასებში, დაურიგდება, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა მცირე მამულიან და სრულიად უმამულო გლეხებს;

ამ კანონს ორი მხრიდან გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი: ერთ მხრით ძველი თავადების და ბურჟუაზიულ წრეების წარმომადგენელნი ნაც.-დემ., დამოუკიდებელნი და დამოკიდებულნი, აუხარდნ კანონ-პროექტს და მთავარბრალდებათ წამოგვაყენეს ის, რომ ჩვენ ამ კანონით ვიცავთ სოფლის ღარიბთა კლასს, რომ „იქ უფრო სოფლის პროლეტარიატის ინტერესებია დაცული, ვიდრე სახელმწიფოსი“. საბუთი ასეთ დასკვნისა ის გახლავთ, რომ ჩვენ მცირე, შეღავათიან ფასებს ვახდევინებთ გლეხებს და არა ბაზრის ფასებს. ე. ი. გვ. ნ. და გაჭირვებულმაც შეძლოს მიწის შეძენა და ის ხელში არ ჩაუვარდეს სოფლის ჩარჩებს და მდიდრებს.

სამაგიეროდ მეორე მხრით აგვიხირდენ ს. ფედერალისტები და სოც. რევოლიუციონერები. ამ უკანასკნელთ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება მიწაში ფული გადაახდევინო გლეხს. რომ გლეხს უნდა მიეცეს უფასოდ და ისიც არა საკუთრებათ—არამედ სასარგებლოდ და საზიარათ, ესე იგი სოციალიზაციის საფუძველზე.

ჩვენი კანონი მათ მიაჩნიათ სოფლის მდიდრების დამცველ კანონათ და ამბობენ, რომ ჩვენ გლეხს ვაბრიყვებთ კერძო საკუთრების მიცემით და ხელს ვუშლით მას სოციალისტურათ და კულტურულათ აღზრდას.

ერთი სიტყვით, ორივე მხრიდან ერთი-მეორის წინააღმდეგ ბრალდებებს გვიყენებენ. რომელია მართალი? არც ერთი. ჩვენ რომ ყოველ პროლეტარიატს არ ვაძლევთ მიწას, ეს სჩანს იქიდან, რომ მიწა კანონით უნდა მიეცეს იმას, ვინც სოფლის მეურნეობით იარსებებს თავს. ხოლო, რომ მდიდრებს არ ვუგდებთ ხელში მიწას სჩანს ფასებიდან, ანუ ფულიდან. ფასათ ვადებთ სულ დიდი ერთი ან ორი წლის ღალის ფასს. მაშასადამე ეს არის არა ფასი, არამედ ახლოდ ანაზღაურება იმ ხარჯების, რომელიც მოჰყვება მიწის რეფორმას და მასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. ჭაობების გაშრობას გლეხების გადასასახლებლათ, არხების გაყვანას უწყლო ადგილების გასანოყიერებლათ და სხვ.

ამ ტომ ჩვენ შეგვიძლია სავსებით უყურადღებოთ დავტოვოთ ამ უკმაყოფილოთა წუწუნი. ნაციონალ დემოკრატებს მაინც არას დაუჯერებს ხალხი, სოც. რევ. და სოც.-ფედერალისტების უდღეურ სოციალიზაციასაც ჩვენ ცხოვრებაში ნიადაგი არ აქვს და გლეხი მას ვერ მიიღებს, ჩვენი კულტურა მას ვერ შეითვისებს. გზა ნ ჩვენები სოციალ დემოკრატიის მიერ—ერთათ ერთი გზაა, რომლის განხორციელება შეიძლება.

ალსანიშნავია, რომ ამ საკითხში ჩვენ ყველა სხვა პარტიებმა დაგვტოვეს, ყველანი გამოგვეთიშენ, რომ მხოლოდ სოციალ-დემოკრატია შერჩა გლეხების ნამდვილ უტყუარ ინტერესებს.

არ შემცდარან ქართველი გლეხები და მუშები, როცა ამ პარტიას უჭერდნენ ხმას. სამაგიეროთ ეს პარტია ერთათ-ერთია, რომელიც მათი საკითხის გადაჭრაში შეუდრეკელი და შეურყეველია.

ჩვენ ჩამოვართვით მიწა მემამულეებს, ჩვენ გადავსცემთ მას ხალხს, ზოგს საკუთრებათ, რაც სანნავია, ხოლო ტყეს, სამალახოს და სხვ. სახელმწიფოს ხელში დავტოვებთ, რომ მთელმა ხალხმა ისარგებლოს იმით და მოვლა-პატრონობაც არ მოაკლდეს ამ დაუფასებელ სიმდიდრეს ხალხისას.

ამ კანონს აქვს კიდევ ერთი უდიდესი მნიშვნელობა. ამიერიდან ალარ არიან თავადები, მსხვილი ფეოდალები, რომელნიც თავთ ხელ გაუნძრევლათ ისხდნენ და გლეხის ნაშრომს კი ითვისებდნენ.

ამიერიდან მიწას სოფლის მუშა დაეპატრონა და თავის ნაშრომს თვითონვე მოიხმარს.

შემდეგი მისი საზრუნავი იქნება ამ მიწის მოვლა პატრონობის შენაცვლა, გაუმჯობესება, ახალი წესით დამუშავება და ასე მიწიდან მეტი ნაყოფიერების გამოღება.

საქართველოს ფეხზედ ხალხს, ტვირთ ჩამოშორებულს ოდესიდან ორც ამ მიზნის მიღწევა გაუჭირდება. იგი შესძლებს ჩვენი ქვეყნის განყოფიერებას თავის შრომით და ამით გაუმჯობესებს რა თავის ცხოვრებას, გაამდიდრებს თვით სახელმწიფოსაც და ასე გაუმაგრებს ფეხებს მის თავის უფალ დამოუკიდებელ განვითარებას.

პრესა

დაშნაკცუტიუნი რომ სომხის პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველია, ეს უდავო ჭეშმარიტებაა. უდავოა იგიც, რომ სხვა ბურჟუაზიული პარტიებიც ამ მხრივ მას მისდევენ კუდში და მის ნათქვამს იმეორებენ. ერევანში სომხის სახალხო პარტია დაშნაკცუტიუნის კარნახით აწარმოებდა მათთან ერთათ უანრიოლ საქართველოს წინააღმდეგ.

თფილისში იმავე პარტიის განყოფილება დაშნაკცუტიუნთან ერთათ აცხადებს ბოიკოტს ქალაქის არჩევნებში. „ქოლოვრდი ძაინი“ 24 იანვრის ნომერში სწერს:

„რადგან ჩვენი მოთხოვნილებიდან არცერთი არ იქნა ასრულებული, ჩვენმა „სომხის სახალხო პარტიამაც“ გადაწყვიტა არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში..

„ჩვენი პოლიტიკური პოზიცია ქართველი ხალხის შესახებ იყო მარტივი და გამორკვეული, ჩვენ ყოველთვის გვსურდა ყველაზე უფრო აქტიური და მჭიდრო კავშირი შეგვექმნა მასთან.

„მაგრამ ეხლანდელ პირობებში, როცა ფაქტიურათ ვერ შეგვძლიან არც ენერგიული თანამშრომლობა მივიღოთ ჩვენ მეზობელ ქართველ ხალხთან, და არც ჩვენი მონაწილეობის მიღებით დავიცავთ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები, პროტესტს ვაცხადებთ ჩვენ შესახებ შექმნილ პოლიტიკურ უსამართლობისათვის და იძულებული ვართ შორს დავრჩეთ ქალაქის არჩევნებისაგან.

„ეს იმისთანა ცოდი და უბედო ფაქტია, რომლის წინააღმდეგ „ამათი სრულიად ზედმეტია“.

გაზეთი წერილს ასე ამთავრებს:

„მომავალი გვ ჩვენებს, თუ რამდენათ სამართლიანათ და ძირითადათ დასაბუთებული იყო თფილისის სომხობის პროტესტი და თავის დაჭერა არჩევნებში იმ წუთს, როცა მას იმედი ჰქონდა ესარგებლა ყოველივე უფლებით, რომ მის ეროვნულ პატივს მოეპყრობიან უფრო სამართლიანად, ვიდრე ისე, როგორც მან ნახა და იგრძნო საქართველოს მთავრობის მიერ ისტორიის სტრიქონებში უკვე წესულ სომეხ-ქართველთა სამწუხარო ეპიზოდის დღეებში.“

აქაც უნდა გავიმეოროთ ის, რაც დაშნაკცუტიუნების ბოიკოტზე ვთქვით. საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ უძლური ბრაზით ახსნება მხოლოდ ასეთი ბოიკოტი და არა პოლიტიკური შეგვწროებით. სოლოლაკის გმირებს მაშინ არ უთქვიათ უარი არ ჩევნებზე, როცა დემოკრატია სრულიად ხელოვნურად ყოფილიყო საარჩევნო უფლებაზე ცენზის წაყოლობით.

მაშინ ეს პარტია არ გაჰკიოდა არჩევნების შეზღუდვაზე. არ ეშინოდა თავის უფლებებით სარგებლობისა დემოკრატიის წინააღმდეგ, მაგრამ დღეს დემოკრატიულ წესებულების დროს შეცვლა გარემოება. დემოკრატიაა ღღეს ბატონი ქალაქის. სომხის სახალხო პარტიამ წარსულ არჩევნებშიაც 2 კანდიდატის

ᲓᲦᲔᲡ

საქართველოს რკინის გზებზე სამხედრო წესები მოიხსნა.

——

ყუბანის ოლქში არა ყაზახთა მობილიზაცია გამოცხადდა. გენ. შკურას რაზმებმა ესენტუკი აიღო. დონის ჯარმა ცარიცინის ახლოს სადგური სარეპტა დაიკავა.

——

შეთანხმების სახელმწიფონი აცხადებენ, რომ ისინი რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან და მხარს არ დაუჭერენ არც კონტრ რევოლიუციას და არც ერთ პარტიას, რომელიც კი ამ ჟამად რუსეთში ძალა-უფლებისთვის იბრძვის.

——

მთავრობის განკარგულებით უკრაინაში შეწყვეტილი იქნა რუსული 1000, 500 და 250 მანეთიანების მიღება უკრაინაში საკუთარი ფულის მოჭრა დაკანონდა.

——

გერმანიაში ეროვნული ყრილობის არჩევნები დამთავრდა. გამორკვეულია, რომ 382 დეპუტატიდან სოც.-დემოკრატი (შეიდემანელი) არის 159, ქრისტიანი სახალხო პარტიის 74, დამოუკიდებელი სოც.-დემოკ. 22, გერმანიის სახალხო პარტია 20. ეროვნული ყრილობა შეიკრიბება 6 თებერვალს.

——

ბრძოლა გერმანელებსა და პოლონელებს შორის გრძელდება. პოლონელები ქალაქ დანციგის დაპყრობას ცდილობენ გენ. გინდენბურგმა იკისრა გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების დაცვა.

——

გერმანიაში შიმშილისაგან ნახევარი მილიონი ადამიანი მომკვდარა.

——

ზემო შლეზვიგში და რურის მაღაროებში დიდი გაფიცვები გრძელდება.

გაყვანა ძლივს შესძლო და ცხადია, არც ბოიკოტით კარგავს რამეს ამ არჩევნებში შეიძენს კაპიტალს. 2 ხმოსანი—გინდ ჰყოლია, გინდ არა. სამაგიეროთ ის ახლა თავის უძლურებიდან აკეთებს აფერასა, უნდა ვიღაცას წინაშე თავი დიდ შეურაცხყოფილათ ჩათვალოს და „დევნილის“ მანტიაში გაეხვიოს ტყუილი ცდაა, ბატონებო!

სოლოლაკელთ იმ დღიდან დაეკარგათ ბატონობა, როცა თებერვლის რევოლიუციამ გაიმარჯვა, და სხვა საბუთი თქვენს ბოიკოტს არ ეჭირვება. შეგიძლიათ თქვათ: რადგან ცენზი არ არის საარჩევნოთ, ჩვენ მაინც ვერას გავხდებით და შინ ჯდომა გვირჩევნია თქო. პოლიტიკურ დემონსტრაციებს კი სჯობია თავი ანებოთ.

საქართველოს პარლამენტი

21 იანვრის სხდომა.

(გაგრძელება)

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

ხამ. დადიანი თავის ვრცელ სიტყვაში საბუთებით სცდილობს დაამტკიცოს, რომ სოც.-დემოკრატები ღალატობენ იმ გზას, რომელსაც ყოველი სოციალისტი უნდა ადგესო. ორატორი აღნიშნავს, რომ, რაც სოც.-ფედერალისტთა პარტია დაარსდა, არჩილ ჯორჯაძეს არ დაუწერია ის, რასაც ლ. ნათაძე აღნიშნავდაო. არჩილ ჯორჯაძე წინათ, პარტიის დაარსებამდე, მოითხოვდა მიწების გამოყოფას, ეს იყო იმ დროს, როდესაც საქართველოს „ხადაკები“ შემოესივნენ და მთელი ჩვენი მიწების ხელში ჩაგდება მოისურვესო.

პავ. საყვარელიძე. სამწუხაროა, რომ ორატორები არ ეხებიან არსებითად კანონ-პროექტს; კამათს სულ სხვა სახე მისცეს და სხვისი აზრებით და ციტატებით უხვათ გვიმასპინძლდებიან. მათ გაჩაღეს ისეთი კამპანია, რასაც ადგილი მხოლოთ პარტიულ კლუბებში უნდა ჰქონოდა. მე ვერ გავყვები მათ გზას, ციტატებით თავს არ მოგაწყენთ და პირდაპირ შევეხები საკითხს. აქ ორი მიმდინარეობა არის: ერთი კანონ-პროექტის მომხრენი, მეორენი მიწის სოციალიზაციის მომხრენი. ძირითადი აზრის კანონ-პროექტის არის არა მიწის დატოვების ნორმა—ეს უკვე გადაწყვეტილია მარტის კანონით,—არამედ ის, რომ სახელმწიფო ფონდიდან საკუთრებათ გადავსცეთ გლეხს მიწა განსაზღვრული საფასურით. ჩვენში წვრილი წარმოება არის განვითარებული. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ის მიწები, რომლებიც გლეხებს დაურიგდებათ, წინათვე მათ ეჭირათ იჯარით და ამუშავებდნენ ძველი წესით. დასავლეთ საქართველოში წვრილმა წარმოებამ გაანვითარა კულტურული მეურნეობა და ეს არის ერთად ერთი ფაქტორი, რომელიც წინ წასწევს ჩვენ ცხოვრებას. დაუშვათ, რომ თქვენი პროექტი მართლა ღირს შესანიშნავი, მაგრამ თქვენ ხომ ანგარიში უნდა გაუწიოთ ჩვენ სოციალურ მდგომარეობას. საქართველოში შეუძლებელია სხვა ფორმის შეთვისება გარდა კერძო საკუთრებისა. ჩვენ ვწერთ კანონებს არა მარსის მცხოვრებთათვის, არა იტალიისათვის, არამედ საქართველოსთვის და ეხლანდელი საქართველო გვაძლევს იმ საბუთს, რომ სხვა წესი, გარდა კერძო საკუთრებისა, ჩვენში შეუძლებელია. თუ გლეხობას უთხარით, რომ კერძო საკუთრებას ვსპობთ, მას გული აუცრუვდება და ეს გამოიწვევს ანარქიას. ჩვენ არ შეგვიძლიან გლეხობას მოვახვიოთ თავზე ის, რაც მას არ სურს. გლეხს კერძო საკუთრების გაუქმება არ სურს. არის მოსაზრება პოლიტიკურიც. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ გლეხი ჩვენი პოლიტიკური წყობილების უპირატესობაში. აქ უპირისპირებენ სახელმწიფოს—ხალხს, ეს მიუღებელია. ხალხი იგივე სახელმწიფო არის, სოციალიზაცია შეიძლება გატარებულ იქნას მხოლოდ იძულებით. მარა ამას გლეხობა გაასინჯავს, როგორც მტრულ ნაბიჯს, რომელიც მის წინააღმდეგ იქნება მიმართული. მეორე დებულება კანონ პროექტისა არის ის, რომ გადაცემულ მიწაში გლეხს საფასური უნდა გადახდეს. ამას თავისი ფინანსიური მოსაზრება აქვს. მიწები თავისუფალი არ არის, იგი დავალიანებულია; ბევრი არის კერძო ვალი, ბანკების და სხვა. ყველა ამას გადახდა უნდა. უფასოდ მიწების დარიგება გამოიწვევს ანარქიას, მოხდება ძმათა შორის სისხლის ღვრა, სამოქალაქო ომი. თქვენ ამობთ გლეხობა არ დაგიჯერებთო; ეს ნათლად დამტკიცდა თუ ვის მხარეზეა გლეხობა და ვის უჯერებს იგი. ეს ჩვენმა ახლანდელმა ომმაც დაგიმტკიცათ. ამბობენ წარმოდგენილი კანონ-პროექტი პარტიულ პროგრამას ღალატობსო. მართალია ჩვენს პროგრამაში არის მიწის მუნიციპალიზაცია, მაგრამ სტოკჰოლმის კონფერენციაზე პროგრამის მეორე მუხლში ნ. ჟორდანიის წინადადებით შეიტანეს: თუ მუნიციპალიზაცია არ შეეგუა ქვეყნის პირობებს, დაცულ იქნეს კერძო საკუთრების პრინციპიო. ჩვენი კანონ-პროექტით ნაწილი მიწებისა გადადის კერძო საკუთრებათ, ნაწილი სახელმწიფოს ხელში რჩება და ნაწილი თვითმართველობათა განკარგულებაში დარჩება. მიუხედავათ იმისა, რომ ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ სოციალიზაცია გაკოტრდა—თქვენ მაინც ანგარიშს არ უწევთ მას. აქ, მაგალითად, მოიყვანეს რუსეთი, სადაც სოციალიზაცია მიიღესო. რუსეთში სოციალიზაცია კი არ არის, იქ ანარქია და არევ-დარევა არის. სოციალიზაციის დამახასიათებელი თვისება არის კერძო საკუთრების გაუქმება, მეორე თვისება თანასწორი სარგებლობა მიწისა. მესამე ის, რომ არავის აქვს უფლება სახალხო მეურნეობაში დაქირავებული შრომა შემოიღოს, და აი მე გეკითხებით—შეიძლება ეს განხორციელდეს ისე, რომ ბარბაროსობაში არ გადავეშვათ?! განა ეს არ დაანგრევს საქართველოს! გლეხს არ აქვს საშუალება ირჩინოს თავი და თქვენ მას უკრძალავთ თავის შრომა გაჰყიდოს. ამ ზომით კულტურა გაუქმდება და ჩვენ ჩავარდებით პირველ ყოფილ მდგომარეობაში. შეიძლება თქვენ გაათანასწოროთ მიწები, მაგრამ ეს იქნება გათანასწორება სიღარიბისა, სიველურისა. თუ მიწის განსაზოგადოებრივობა მოხდება და მის დასამუშავებელ იარაღებზე კერძო საკუთრება დარჩება, ეს უტოპია იქნება. აი სწორეთ ამით აიხსნება ის კომპრომისული გზა, რომელსაც სოც.-ფედ. დაადგნენ. თუ წვრილი მესაკუთრენი არ მოისურვებენ, მათ მიწა არ ჩამოერთმევათო. ამბობენ უნდა შემცირდეს მიწის ნორმაო. (მაჩაბელი: რასა კარგავენ) უნდა გამოვარკვიოთ თითოეულს რამდენი მიწა დაჩერდებაო. თუ ჩვენ ამის გამოკვლევას შეუდექით, ამას დიდხანს მოუნდებით, დრო კი არ ითმენს. თუ თქვენ სოციალიზაციას მოითხოვთ, რატომ სოციალიზმს არ ანხორციელებთ? აქ ორი პროექტია: ვისაც სურს სამოქალაქო ომი არ გაჩაღდეს, უნდა მიიღოს მიწათმოქმედების სამინისტროს პროექტი, ვინც კი დგას ფრაზიის ნიადაგზე, ვისაც სურს სადემაგოგიოთ, სამიტინგოთ გამოიყენოს მიწის სოციალიზაცია, ის, რასაკვირველია, ჩვენ არ მოგვემხრობა. (ტაში).

გვაზავა. როდესაც თქვენ ამბობთ: ჯერ დემოკრატიზმი და მერე სოციალიზმი, ჩვენ პირველს ვიზიარებთ, მეორე კი არ გვწამს. (ადგილიდგან: თქვენ არც დემოკრატიზმში გწამთ!) საჭიროთ მიაჩნია ორატორს კანონში ზოგიერთი შესწორებანი იქნას შეტანილი, ამისთვის ეს კომისიას უნდა დაუბრუნდესო.

რ. ჩიხლაძე. როგორც მოსალოდნელი იყო მიწის უმიწაწყლო გლეხთათვის დარიგების მოწინააღმდეგენი პარლამენტში მრავლათ აღმოჩდნენ. როგორც სოციალისტები, ისე არა სოციალისტები. მე მინდა რამდენიმე სიტყვით მოვახსენო ს. რ. და ფედერალისტებს, რომ ისინი აუმხედრდენ ამ კანონ-პროექტს და არ უწევენ ანგარიშს იმ სინამდვილეს, იმ ფაქტს, რომლის ანგარიშის გაუწევლობაც ჩვენის აზრით შეუძლებელია. ვინც ოცნებით არ იკვებება, არამედ სინამდვილეს ანგარიშს უწევს, ის ყოველთვის გაუწევდა ანგარიშს იმ ფაქტს, რომელიც მათ წინაშე დგას. ვინც კი იცნობს ჩვენს გლეხობას, მისთვის აშკარა არის, რომ გლეხობა დაჟინებით მოითხოვს მიწის კერძო საკუთრებას. მე მჭონდა საშუალება გამეცნო გლეხობა. სადაც კი ვყოფილვარ, გლეხთა მიტინგებზე თუ კრებებზე, ყველგან ის შთაბეჭდილება გამომიტანია, რომ გლეხებისთვის მისაღებია ერთათ-ერთი ფორმა მიწათმფლობელობის. ეს კერძო საკუთრებაა: სხვაგვარათ მიწის საკითხის გადაწყვეტა მოუმზადებდა საფრთხეს ჩვენ ქვეყანას. მეორე მოსაზრება იმაში მდგომარეობს, უშლის თუ არა ხელს მიწების კერძო საკუთრებათ გადაცემა საწარმოვო ძალთა განვითარებას? თუ ჩვენ ასე დავსვამთ კითხვას დავრწმუნდებით, რომ კერძო საკუთრებათ მიწების დარიგება ხელს უწყობს საზოგადოებრივ ძალთა განვითარებას. გლეხობას სურს განთავისუფლდეს მიწათმფლობელობის ფეოდალური წესებიდან და ვინც არ სდგას ამ ნიადაგზე, ის ყოველთვის მოიტეხს ფეხს. ჩვენ მთელის ენერგიით მხარს უჭერთ გლეხთა მოთხოვნილებას, რადგანაც ვიცით, რომ მათი მოთხოვნილება არ ეწინააღმდეგება ჩვენ მიზნებს—წარმოების თანდათანობით განვითარებას ხელს არ შეუშლის. აქ სთქვეს, რომ რუსეთში ბალშევიკებმა მხარი დაუჭირეს მიწის სოციალიზაციასო. რუსეთის მაგალითი მაჩვენებელია იმის, თუ როგორ არ უნდა ვიმოქმედოთ. ესერები და ფედერალისტები გაიძახიან, მიწა გლეხობას უფასოთ უნდა დაურიგდესო. მე ვფიქრობ, რომ ეგენი ეცდებიან ფართო გზა მისცენ ამ ნიადაგზე თავიანთ დემაგოგიას, მაგრამ რამდენათაც მე ვიცნობ გლეხობას, მათ საღ აზროვნებას, ისინი უარყოფენ თქვენ მიერ გაღვივებულ დემაგოგიას. ჩვენ მოვისმინეთ ნაც. დემოკრატების სიტყვები არა კანონ-პროექტის შესახებ, არამედ ისტორიის არქივში ჩაბარებულ, დრომოჭმულ წოდების ვექილების სიტყვები. თქვენ, ბატონო, ნაციონალისტებო, იძახით, რომ თავად-აზნაურობამ ნიადაგი მოუმზადა ნაციონალურ სახელმწიფოს, სოც. დემ. კი ანარქია დაბადესო. ნუთუ ეს არის სერიოზიული გამოსვლა. ეს არის დემაგოგია და სხვა არაფერი. ყველასთვის ცხადია, რომ გლეხობა ჩვენსკენ არის (მაჩაბელი: საუბედუროთ), დემოკრატია მოითხოვს მიწის საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრას და დარწმუნებულია იგი, რომ პარლამენტი ამ კითხვას მათ სასარგებლოთ გადაჭრის. გლეხობა დღეს პარლამენტს შემოსცქერის, მის სიტყვას ელის იგი. მე ვფიქრობ, რომ პარლამენტი შესძლებს დაკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება და ამით განამტკიცებს ჩვენ დემოკრატიულ წყობილებას.

შ. ქარუმიძე აღნიშნავს, რომ აგრარულმა რეფორმამ დაანგრია მეურნეობაო. ორატორი წინააღმდეგია წარმოდგენილ კანონ პროექტის.

ნ. ხომერიკი. (მიწ. მოქ. მინ.) მე სიტყვა ავიღე იმისთვის, რომ ქარუმიძეს გაბედულ მტკიცებას, რომ აგრარულმა რეფორმამ დაანგრია მეურნეობაო—მინდა დაუპირისპირო ციფრები. თქვენ ლაპარაკობთ მემამულეთა დამსახურებაზე, ეს არ არის მართალი. კულტურული მამული არის სულ 70. ამაში ქართველებს აქვთ 16. დანარჩენი მამულები კი არ განირჩევა ჩვეულებრივ გლეხის მამულებისაგან. როდის იყო, რომ მემამულე მეურნეობას ეწეოდა? ორატორი ამ თავის დებულებას ციფრებით ამტკიცებს და დაასკვნის, რომ ოპოზიციის მტკიცება, რომ რევოლიუციამ დაანგრია მეურნეობა—ეს არ არის მართალიო. მემამულეებს საერთოთ არაფერი შეუქმნიათ მეურნეობაში, იგი მძიმე ტვირთად აწევს ჩვენ გლეხობას, მათ იცოდნენ მხოლოდ ისა, რაც შეიძლება მეტი ღალა აეღოთ. (ტაში).

(შემდეგი იქნება).

უკანასკნელი ცნობები

ხოჩა. 23 იანვარი. გაზეთებში მოთავსებულია დაბერილი ბალშევიკური რადიო, რომელიც იუწყება: რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრთა კონგრესმა მოწოდებით მიმართა სოც.-დემ. რევოლ. ორგანიზაციებს. მოწოდება საჭიროთ აღიარებს ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას. რუსეთის დემოკრატიის დამმონებელი გერმანელები დამარცხებული არიან. მოკავშირენი ჩვენს ბურჟუაზიას ეხმარებიან. კოლჩაკის მიერ ციმბირში მოხდენილმა გადატრიალებამ გააშუქა ეხლანდელი მდგომარეობა. საჭიროა ბალშევიკებთან ერთად კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლა. მეორე რადიო იუწყება, რომ იანვრის პირველ რიცხვებში უფის სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა მოლაპარაკება გამართა დამფუძნებელ კრების წევრებთან ვოლსკისთან, სვიტიცკისთან და შმელევთან.

ეკატერინოდარი. 23 იანვარი. მთავარ-სარდალმა გამოაცხადა ყუბანის მხარის არაყაზახთა მობილიზაცია. ჯარში გაიწვევენ 1910, 1911, 1912 და 1913 წ.წ. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია იანვრის 15. გამოაცხადა აგრეთვე ექიმების მობილიზაცია.

გენ. შკურას რაზმებმა იანვრის 16-ს ბრძოლით აიღეს ესენტუკი.

დონის ატამანის განკარგულებით თებერვლის 1-ს ნოვოჩერკასკში მოწვეულია ყაზახთა ყრილობა. ნახიჩევანში ქალაქის არჩევნებს მუშებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. დონის გაზეთების ცნობით ეკატერინოსლავის გუბერნიაში მეამბოხეთა მოძრაობა ძლიერდება. დონის ჯარმა იანვრის 16-ს სადგური სარეპტა დაიჭირა და ხელთ იგდო დიდი დავლა.

კიევი. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საკუთარი ფულის მოჭრის კანონი. 3 იანვარს შესწყვიტეს 1000—500 და 250 მანეთიან რუსულ ქაღალდის ფულის მიღება.

ხოჩა. 22 იანვარი. სოც.-დემოკრატების და სოც.-რევოლიუციონერების თაოსნობით გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი 9 იანვარს დახოცილთა ხსოვნის პატივსაცემათ. ბალშევიკები ლაპარაკობდნენ რუსეთის მუშათა მოძრაობაში სოც.-დემოკრატების და სოც.-რევოლიუციონერების სასახელო როლის შესახებ. მიტინგის შემდეგ ხალხმა რევოლიუციონური სიმღერით გაიარა ქუჩები.

საქალაქო არჩევნებისთვის

ტრამვაიელთა შორის.

ტრამვაის სახელოსნოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მცირე კოლექტივის პრეზიდიუმმა 20 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, მოიწვია ტრამვაის მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებაზე მოწვეული იყო პარლამენტის წევრი ამხ. ანდრონიკაშვილი მოხსენების გასაკეთებლათ: 1) მომენტზე და 2) თფილისის საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ.

მოხსენება საზოგადო კრების მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად გამოტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა საქართველოს პარლამენტის წევრის ამხ. ანდრონიკაშვილის მოხსენება საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ, ტრამვაის პარკის მუშათა კრება ნდობას უცხადებს საქართველოს მთავრობას, რომელმაც მოხერხებული და პატიოსანი, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკით შესძლო ქვეყნის დამფუძნებელ კრებამდე მიყვანა.

კრება ადგენს—მიიღოს აქტიური მონაწილეობა თფილისის საქალაქო არჩევნებში და აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, რომ მხარი დაუჭიროთ საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელსაც ამ არჩევნებში დემოკრატიის და საქართველოს დამოუკიდებლობის მრავალი მტრები ებრძვიან. ამასთან ერთად, კრებას არ შეუძლია თავისი უღრმესი აღშფოთება არ გამოსთქვას ათი ათასობით ამრჩეველთა სიების განადგურების შესახებ ზოგიერთ ბოროტმომქმედი პირების მიერ, რომელთაც აშკარად დაუსახავთ მიზნათ საარჩევნო კამპანიას ჩამოაშორონ აქტიური მოქალაქენი და ასე შეასუსტონ არჩევნების შედეგები.

კრება გამოსთქვამს სრულს იმედს, რომ დემოკრატიის ინტერესების დამცველი მთავრობა მიიღებს ენერგიულ ზომებს აღმაშფოთებელი ბოროტ-მოქმედების და იმ საიდუმლო ორგანიზაციის აღმოსაჩენად, რომელმაც ამრჩეველთა სიების მოპარვა გააბედვინა უპასუხისმგებლო პირებს.

კრების დავმჯდომარე **გ. შევჩუკი.**

——

ვის უნდა მიხცეს დემოკრატიამ ხმა?

საქალაქო არჩევნების დღე მოახლოვდა. 2 თებერვალს თფილისის დემოკრატია საარჩევნო ყუთების წინ წარსდგება და თავისი მოქალაქეობრივ მოვალეობას შეასრულებს. ამ დღეს თფილისის დემოკრატიამ თავისი უკანასკნელი სიტყვა უნდა სთქვას და უნდა აღიიაროს, თუ ვისკენაა მისი თანაგრძნობა და ვის ანდობს ის თავის ინტერესების დაცვის საქმეს. ამ დღეს მას თამამათ შეუძლია თავისი კლასობრივ პოლიტიკური რწმენა, კლასობრივი შეხედულება სისრულეში მოიყვანოს და ხმა მისცეს ისეთ სიას, რომელიც ყველაზე უფრო თავგამოდებით დაიცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს. თფილისის დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ ბურჟუაზიულ პარტიებს, მშრომელი ხალხის დემოკრატიის ინტერესები მუდამ ფეხ-ქვეშ გაუთელია, მხოლოდ ერთათ-ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია მუდამ დარაჯათ ედგა დემოკრატიის საქმეს, და ამიტომაც არის, რომ ამ პარტიას კარგათ იცნობს ჩვენი დემოკრატია. განსაკუთრებით თფილისის დემოკრატია ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, ის მუდამ გვერდში ედგა სოც.-დემ.

ამხანაგებო, თქვენ კარგათ იცით თუ ვინ არის სოც.-დემოკრატია და ვის ემსახურება ის. მის მიერ სამოქალაქო არჩევნებში წამოყენებული ხმოსანთა კანდიდატები—ეს ის პირებია, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალონე დემოკრატიის სამსახურში დალიეს და გალატაკებულ კლასს გულწრფელად ემსახურებოდენ. აი დღეს ასეთი პარტია თავისუფალ საქალაქო არჩევნებში გამოდის და იმედია დემოკრატია სხვა პარტიას ხმას არ მისცემს, არც ერთ სხვა სიას მხარს არ დაუჭერს და მით მომავალ საქალაქო საქმეებს ჩააბარებს ისეთ პარტიას, რომელიც თფილისის ფართო დემოკრატიის ინტერესებს ჩვეულებისამებრ მედგრათ დაიცავს.

მაშ, ხმა მიეცით სოც.-დემოკრატიულ სიას № 1-ს.

თედ. ხუხუნაიშვილი.

მოძალაძენო! სოციალდემოკრატია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების საუკეთესო დამცველია.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1-ს.

საქართველოს გარშემო

ინგლისში და საფრანგეთში.

(კერძო წერილიდან, რომელიც გამოგზავნილია ლონდონიდან 1918 წლის 11 დეკემბრის თარიღით).

„საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები, განსაკუთრებით დაშნაკცაკანური მოღვაწეები და რუსის მემარჯვენე პოლიტიკური წრეები აწარმოებენ შეთანხმების სახელმწიფოებში სასტიკ კამპანიას ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, „დაშნაკცუტიუნის“ პარტიას ევროპის დიდ პოლიტიკურ ცენტრებში აქვს თავისი განყოფილებები და მისი აგენტები შეუწერებლივ და ენერგიულად ამუშავებენ საზოგადოებრივ აზრს „დაშნაკურად“, ამახინჯებენ ამიერ კავკასიის წარსული ამბების აზრს. ასე, მაგალითად, ისინი არ ზოგავენ თავის ძალებს იმისთვის, რომ დაარწმუნონ საზოგადოებრივი აზრი ლონდონსა და პარიზში, რომ, თუ არა „დალატი“ ქართველებისა, სომხები არა თუ შეაჩერებდენ გერმანელების მსვლელობას აღმოსავლეთისაკენ, არამედ ისინი დაამარცხებდენ ოსმალეთს და დაიპყრობდენ მცირე აზიას“.

მაგრამ, მიუხედავად საქართველოს მტრების ენერგიული ცდისა, რომ ცილი დასწამონ მას, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა პოულობს თანაგრძნობას და დახმარებას ინგლისის და საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში. ლონდონში დაარსდა ქართულ-ინგლისური საზოგადოება, რომლის პრეზიდენტად არის ლორდი ბრაისი და რომლის მოღვაწეობა თანაგრძნობას და დახმარებას ჰპოულობს ლონდონის პოლიტიკურ წრეებში.

პარიზში დაარსებულია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. საფრანგეთის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა გარდა, კომიტეტს დიდ დახმარებას უწევს გამოჩენილი ფრანგი სოციალისტი ალბერტ ტომა, ყოფილი მინისტრი მომარაგებისა.

ამას გარდა ლონდონში დაარსებულია სპეციალური ინფორმაციული ბიურო, რომელიც აწვდის ინგლისის და ამერიკის პრესას ნამდვილ ცნობებს კავკასიის ამბების და ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ“.

მოძალაძენო! დაშნაკცუტიუნის პარტიამ ხომხეთის ჯარი საქართველოს ვერაგულათ შემოუსია და ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვია!

არც ერთი ხმა ერთა შორის შუღლისა და მტრობის გაჩაღების პარტიას.

არ. ზურაბოვის შესახებ.

გუშინდელ „ბორბა“-ს 18 №-ში მოთავსებულია ვლ. ჯუღელის შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ:

„პოლემიკისა და ყოველგვარი უარყოფებისათვის მე ძალიან ცოტა დრო მრჩება და თუ მაინც ვუპასუხებ არ. ზურაბოვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ, ახლო წარსულში, ჩვენ მასთან ერთად ვიბრძოდით ერთ რიგში. მართალია, ამ ბოლო დროს არ. ზურაბოვი ძალიან ბევრს ხმაურობს და ჰპეჰლავს თითქმის ყველა გაზეთებში წერილებს, მაგრამ ყვირილი ხომ მისი მოღვაწეობის ნიშანდობლივი თვისება იყო მუდამ. არ. ზურაბოვს გადასცეს საბჭოს სხდომაზე მის შესახებ ჩემ მიერ თქმული სიტყვები და ამის გამო ის კატეგორიულათ აცხადებს: „თუ ეს გადმოცემა მართალია, იგი ერთიანი ტყუილია“ და განმარტავს კიდევ: „მე ვიყავი და ვრჩები სასტიკ მოწინააღმდეგეთ ამისა, რომ წითელი გვარდია გამოყენებულ იქნეს, როგორც სახელმწიფოებრივ-მილიტარისტული ძალა. „და აი, ეს არის ყველაფერი“. და ბოლოს ის დაასკვნის: „მაგრამ აქედან იმ აზრის გამოყვანა, თითქოს მე უარვყოფდე ყოველგვარ თავდაცვას და კერძოდ საქართველოს თავდაცვას ამ ომში, შეუძლიანთ ან გარდაუვალ რეგვნებს, ან და პოლიტიკურ შარლატნებს“. პოლიტიკურ შარლატნებზე სჯობს ნუ ვილაპარაკებთ, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს წარსულიდან ზოგიერთი არა ხელსაყრელი მოგონებანი. მე ვარჩევ შევეხო საკითხს არსებითად. არ. ზურაბოვი წინააღმდეგია სახალხო გვარდიის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის გამოყენებისა, რადგანაც გვარდია „არა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა“. მე ვკითხულობ: თუ მთავარი შტაბი არ მოახდენდა მთელი თავისი ენერგიით სახალხო გვარდიის მობილიზაციას და საჩქაროდ არ გადიყვანდა მას ფრონტზე—მოხერხდებოდა თუ არა საქართველოს თავდაცვა? არა! და რომელი პოლიტიკა გაიმარჯვებდა, როგორც საქართველოს სამხედრო დამარცხების შედეგი? დაშნაკცაკანური! ამი-

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტი

ამით აუწყებს ამხანაგებს, რომელთაც არ მოუხდიათ პარტიული ვალი და არ შემოუტანიათ საარჩევნო ფონდისათვის დღიური ხელფასი—დააჩქარონ შემოტანა. ფულის შეტანა შეიძლება, როგორც პარტიულ რაიონებში, აგრეთვე თფილისის კომიტეტის ბიუროში—მდივან **სინაურიძესთან**

საჭიროების გამო თფილისის კომიტეტი სთხოვს აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც წაღებული აქვთ წიგნაკები ფულის შესაკრებათ ნაწილ-ნაწილ მიუტანონ შეგროვილი ფული თფ. კომ. მდივანს. (4—2)

ტომ მე სრული უფლებით ვამტკიცებდი, რომ არ. ზურაბოვი იცავდა არსებითად დაშნაკურ ავანტიურას, როცა სცდილობდა დაესუსტებინა ჩვენი აღფრთოვანება თავდაცვისათვის. „და აი, ეს არის ყველაფერი“.

ახალი ამბები

სამხედრო წესების მოხსნა რკინის გზებზე. 23 იანვრიდან მთავრობის დადგენილებით რკინის გზებზე სამხედრო წესები მოხსნილ იქნა.

დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა ბორჩალოს მუსულმანთა კანდიდატთა სია. სია 15 კაცისაგან შესდგება.

გზების დათვალიერება. გუშინ დილით თფილისიდან კობერში გავიდა მოსამსახურეთა მატარებელი. მატმრებლით გაემგზავრა კომისია, რომელიც დაათვალიერებს რკინის გზებს საღანლეულ-კობერს შუა.

ალექსანდროპოლში. ალექსანდროპოლიდან ჩამოსულმა შემდეგი გვიამბო: შემთხვევით ალექსანდროპოლში მოვხდი. ქალაქი საშინელ სურათს წარმოადგენს. ლტოლვილები ათასობით ღვთის ანაბარად ქუჩებში ყრია. თვით ადგილობრივი სომხობა არამეგობრულათ ხვდება მათ, ავათმყოფობა მოაქვთო. ავათმყოფობა მართლაც საშინელია ალექსანდროპოლში, განსაკუთრებით ტიფი. ტიფმა იმსხვერპლა ცნობილი ფირუმოვი, პირველი პოლკის კამანდირი. ხალხმა სინამდვილე სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ არ იცის. ხალხს ეუბნებიან ინგლისელებს, რომ ხელი არ შეეშალათ ჩვენთვის, ეხლა სოხუმში ვიქნებოდით და დენიკინის რაზმთან შეერთებულიო.

ნაძალადევის გვარდია. 25 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიის საზოგადო კრება. ამ კრებაზე სავალდებულოა ყველა გვარდიელების დასწრება; ვინც არ დაესწრება სასტიკი პასუხი მოგთხოვება.

მოვალეობის მსხვერპლი. ექიმი დიმიტრი ჟორდანია, რომელიც მთავრობის დავალებით ებრძოდა თფილისის საგუბერნიო ციხეში შავ სახადს, თვითონ გახდა ავად ამ სენით და იანვრის 24 გარდაიცვალა მიხეილის საავათმყოფოში. დარჩა წვრილი ცოლ-შვილი სრულიად უსახსროდ.

სიმართლეს არ შეიცავს. ქალაქის გამგეობის გადმოცემით, ის ცნობა, თითქოს თფილისის მილიციის უფროსად დაენიშნოთ ვ. სულაქველიძე.

გაზეთების გზავნა. ერთ კვირაზე მეტია ქუთაისის ქვევით, გაზეთები მეორე დღეს იგზავნება, რადგანაც მატარებლების მიმოსვლა შეცვლილია. ამის გამო მკითხველები მესამე დღეს ღებულობენ გაზეთებს. საჭიროა მატარებლების პირდაპირი მიმოსვლის აღდგენა.

ქალაქის მოსამსახურეთა საყურადღებოდ. 26 იანვარს, დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება კრება ქალაქის ყველა მოსამსახურეთა საქართველოს ს. დ. მ. პარტიის წევრებისა. დაბეჯითებით სთხოვენ ყველა ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ კრებას, ვინაიდან გასარჩევია მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი კითხვები.

ერობის მთავარ ინსტრუქტორმა უკვე დაამთავრა და საბოლოოთ ჩააბარა საქმეები შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას. ერობები შემოღებულია 12 მაზრაში. 4 გაანპირა მაზრებში, რომელნიც დღემდე ოსმალთა ჯარების ხელში იყო, მოწყობილია ერობის შემოღების აპარატი. მთავრობის მიერ გადადებული 238,000 მანეთიდან დახარჯულია 219,000 მანეთი. საშუალო რიცხვით თითო მაზრაზე დახარჯულია 12 915 მანეთი 82 კაპ. მთელ საქართველოში არჩეულია 407 ხმოსანი.

საარჩევნო კრება. მეოთხე რაიონული კოლექტივი კვირას, დილის 11 საათზე, ბიუროს ახ. ბინაზე, ოლდას ქ. № 29 იწვევს ს.-დ. მ. პარ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრებას, სადაც განხილულ იქნება ჩვენი საარჩევნო პლატფორმა. მომხსენებლებათ მოწვეულია საქართველოს პარლამენტის წევრნი: ევ. გეგეჭკორი და ვ. ჯუღელი. ვსთხოვთ ყველა პარტიის წევრთ და თანამგრძნობთ კრებას უსათუოდ დაესწრონ.

მიმართვა ფ.-ტელ. სამმართველოს უფროსისა. რადგან ფოსტა ტელეგრაფის კორესპონდენციის გაგზავნა ჩაბარებაში კიდევ ჰქონდა ადგილი ზოგიერთ უწესოებას, ხელმეორედ დაბეჯითებით ვსთხოვ ყველა კორესპონდენტს, ვინც გზავნის ან ღებულობს ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენციას, რომ ყოველ შემთხვევაში, როდესაც დაკარგვენ, დაგვიანებენ ან დაამახინჯებენ (დეპეშებს) მათს კორესპონდენციას, მომმართონ მე პირადათ, წერილობით ან № 28 ტელეფონით ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში, საგნად საქმის გამოძიებისა, დამნაშავის სასტიკად დასჯისა და ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ამ არა ნორმლურ მოვლენათა სამუდამოდ აღკვეთისა. ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოს უფროსი მგელაძე.

ძრძბბი.

დღეს, საღამოს 5 საათზე მეორე რაიონული კოლექტივის ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. თფ. ქალთა ყველა ორგანიზაციების და თფილისის ქალთა ბიუროს შეერთებული კრება.

— ორშაბათს, 27 იანვარს, საღამოს ხუთ საათზე სამმართველოს ლიანდაგის განყოფილებაში დანიშნულია ამავე სამმართველოს ყველა პარტიულ წევრთა საერთო კრება.

მოქალაქენო! ომიანობის ხანაში თითქმის მთელი ქვეყანა დაიმშა. კერძოთ რუსეთში შიმშილმა დიდძალი ხალხი იმსხვერპლა. სოციალდემოკრატიამ იხსნა საქართველოს მცხოვრებნი დამშვევისაგან.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

სია

თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების კანდიდატებისა, წამოყენებული საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტისაგან.

1. ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე.
2. ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე.
3. გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე.
4. რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე.
5. ელიავა ნიკოლოზ ზურაბის ძე.
6. ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე.
7. ჭიჭინაძე ნიკოლოზ (პარმენ) გაბრიელის ძე.
8. არსენიძე რაჟდენ მათეს ძე.
9. კონიევი გიორგი გიორგის ძე.
10. თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე.
11. გომართელი ივანე გედეონის ძე.
12. გოგუა კალისტრატე გიგოს ძე.
13. რუსია შელიტონ ივანეს ძე.
14. მასალკინი პავლე ივანეს ძე.
15. აუშტროვი რუბენ გიორგის ძე.
16. ბესელიძე იოსებ ეგნატეს ძე.
17. ხახანაშვილი ვასილ თომას ძე.
18. კახიანი პარმენ მიხეილის ძე.
19. ჩიჩუა ზაქარია გიორგის ძე.
20. კაფაროვი ახმედი.
21. სირბილაძე ემელიანე (ემილ) ივანეს ძე.
22. ვეფხვაძე მიხეილ გიორგისძე.
23. სადაგაშვილი გიორგი დავითის ძე.
24. მგელაძე დიმიტრი სერგოს ძე.
25. ბადრიძე ილია გიორგის ძე.
26. ნაცვლიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე.
27. ჯაფარიძე სერგო დავითის ძე.
28 ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე.
29. დიდიძე ერმილე გიორგის ძე.
30. ირემაშვილი იოსებ გიორგის ძე.
31. ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა ელეონორა მიხეილის ასული.
32. ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე.
33. ბახტაძე გიორგი სიმონის ძე.
34. ხელაძე ალფეესი სირმას ძე
35. რუსია ნინა ალექსანდრეს ასული.
36. კრაუტერი ფრიდრიხ იოჰანესის ძე.
37. დვალი დავით სტეფანეს ძე.
38. ხახანაშვილი შალომე იაკობის ძე.
39. რუხაძე ნიკოლოზ პავლეს ძე.
40. ხუნდაძე სიმონ თომას ძე.
41. ფარსუჯიანი არშაუშ არკადის ასული.
42. ძებისაშვილი კონსტანტინე დავითის ძე.
43. ელიავა უშანგი თომას ძე.
44. ჟღენტი ლეონტი (ვიქტორ) ალმასხანის ძე.
45. ლემლეინ გლებ ალექსანდრეს ძე.
46. გომელაური ივანე მიხეილის ძე.
47. სალირაშვილი კონსტანტინე ალექსის ძე.
48. კოვალიოვი მიხეილ ანდრიას ძე.
49. ბერიტაშვილი ლუკა ზაქარიას ძე.
50. გოგლიძე მიხეილ გიორგის ძე.
51. კიკვაძე თეოდორე გაბრიელის ძე.
52. ჟორჟოლიანი ალექსანდრე მაქსიმეს ძე.
53. თევზაძე სარდიონ ონისიმეს ძე.
54. კანდელაკი ალექსანდრე გიორგის ძე.
55. ლორია ფილიპე გლახუნის ძე.
56. მაჭავარიანი გიორგი პაატას ძე.
57. მელხი ივანე საჩინოს ძე.
58. ჩადუნელი დავით გიორგის ძე.
59. რამიშვილი ირაკლი ივანეს ძე.
60. ქავთარაძე პეტრე ივანეს ძე.
61. სოლოლაშვილი ანნა ილიას ასული.
62. მაირანოვსკი აბრამ მოსეს ძე.
63. ქავთარაძე კალენიკე გიორგის ძე.
64. ბურჯანაძე ვარლამ ამირანის ძე.
65. მგალობლიშვილი მიხეილ ფილიპეს ძე.
66. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული.
67. ავაქოვი ივანე ზაქარიას ძე.
68 სულიაშვილი დავით სოკრატის ძე.
69 კაკაკასიძე პეტრე მოსეს ძე.
70. ხან ახმედოვი აბას ოღლი.
71. ვადაჭკორია სოლომონ ივანეს ძე.
72. შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე.
73. ფარქოსაძე სტეფანე ოტიას ძე.
74. რუხაძე არჩილ გერმანის ძე.
75. აბდუშელიშვილი შალვა ზინობის ძე.
76. ხართიშვილი დავით გიორგის ძე.
77. ფოფხაძე გიორგი დავითის ძე.
78. კანტიძე ივანე გიორგის ძე.
79. ჭალიძე მიხეილ გაბრიელის ძე.
80. ათაბეგოვი ვასილ გიორგის ძე.
81. ხუხუნაიშვილი თეოდორე ქიშვარდის ძე.
82. ბალიანცი მიკირტიჩ ბალახნის ძე.
83. მათიკაშვილი არჩილ კირილეს ძე.
84. იობაშვილი ნიკოლოზ ხარების ძე.
85. გიორგაძე ილარიონ სიმონის ძე.
86. კვერნაძე გიორგი ვასილის ძე.
87. დობორჯგინაძე სამსონ მიხეილის ძე.
88. მამაცაშვილი იოსებ ზაალის ძე.
89. გლახოიანი სარქის კარაპეტის ძე.
90. ეფინდიევი ზიადინი.
91. თამაზაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე.
92. ბერიანიძე მარიამი ლეონტის ასული.
93 უზნაძე ზაქარია.
94. ჟღენტი ალექსანდრა პორფირეს ასული.
95. ელიაშვილი ნათან დავითის ძე.
96 მარგიშვილი მიხეილ ილიას ძე.
97. მაჭარაძე პოლიკარპე ნიკოლოზის ძე.
98. უსეინაშვილი გიორგი ივანეს ძე.
99. მანჯგლაძე ილარიონ ლევანის ძე.
100 ვიგორბინი ნიკოლოზი ვასილის ძე.
101. ისმაილოვი ისმაილი.
102. არველაძე მელიტონი დავითის ძე.

სახალხო გვარდიაში

22 იანვარს შესდგა საზოგადო კრება სადგურის (ტრამვაი) რაიონის სახ. გვარდიელებისა, რომელსაც დაესწრო 164 კაცი. თავმჯდომარეობდა ამხ. ალ. დგებუაძე—დღის წესრიგი: 1) შტაბის შესახებ. 2) ახალი შტაბის არჩევნები. 3) გვარდიელების დატუსაღება. 4) გვარდიელების ბილეთებით ბოროტათ სარგებლობა. 5) შტაბის რევიზია და სხვ.

პირველი კითხვის, „შტაბის შესახებ“, გამოირკვა კამათის შემდეგ, რომ ერთი ნაწილი შტაბისა დიდის ენერგიით მუშაობდა და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამიტომ კრება დებულობს წინადადებას: „გამოუცხადოს მადლობა მათი მუყაითი მუშაობისათვის იმ ნაწილს, რომელიც ენერგიულად ეწეოდა მუშაობას—2) არჩევნების შესახებ. წამოყენებულ იქნა კანდიდატები, რის შემდეგ ფარული კენჭის ყრით არჩეული იქნენ: შტაბის წევრებად: 1) თეოდორე ვასაძე, 2) იასონ ჩაჩუა, 3) ვიქტორ ჭაბუკიანი, 4) პეტრე ვიგორბინი, 5) ონიფანტე არველაძე, 6) ირაკლი მეგრელიშვილი, 7) ავთანდილ ჩიკაშუა—მათ კანდიდატებათ: 1) ანტონ მგელაძე, 2) ივანე ნაცვლიშვილი, 3) მოსე სოსელია, 4) ანდრია ჩოველიძე, 5) იაკობ ასიტოვი, 6) მიხაკო კაცარავა, 7) ჭკუასელი.—არჩევნების დასრულების შემდეგ კრებამ სხვა კითხვების გარჩევა ვერ მოასწრო და კრება გადაიდო შემდეგისათვის. თეოდო სპარტაკი.

მოქალაქენო! ქართველი ნაციონალ დემოკრატები რეაქციას ემსახურებიან და მეამბოხეთა ინტერესებს იცავენ.

ხმა მიეცით მემამულეთა პარტიის წინააღმდეგ.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიის სიას № 1.

ჩვენი ჯარისათვის

ქართველ საქვ. საზოგადოების გამგეობამ მიიღო შემოწირულება ჯარისათვის შემდეგ პირებისაგან: სოფ. გლდანის წვრილ გამსესხებელ ამხანაგობისაგან 13 ფუფაიკა, „განათლების“ სამხატვრო სახელოსნოს მოწაფეთა გამართულ წარმოდგენიდან 250 მან., დ. კ. ერისთავისაგან (ოზურგეთი) 100 მან., დიდუბის ეკლესიისაგან 1000 მან., ქეთუშა ჩოლაყაშვილისაგან 23 მან., გ. ბ. კიკნაძისაგან 300 მან., ქვაშვეთის, ეკლესიაში მლოცველთა შორის შეგროვილი 546 მ. 36 კ., ქვაშვეთის ეკლესიისაგან 5.000 მან. სულ დღევანდლამდე მიღებულია შემოწირულება 13.249 მან. 36 კ.

ქარ. საქვ. სახ-ის მთ. გამგეობა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

24 იანვარი.

ფრანგული პრესის ცნობები.

პრეზიდენტ ვილსონის წინადადების გამო მთავრობის თავმჯდომარეებმა შემდეგი წინადადება მიიღეს: ერთათ ერთი მიზანი, რომელიც ჰქონდათ მოკავშირეთა წარმომადგენლებს რუსეთთან დამოკიდებულების განხილვის დროს, ეს იყო რუსეთის ხალხის დახმარება და არა ხელის შეშლა და მათ შინაურ საქმეში ჩარევა. ისინი აღიარებენ, რომ რუსეთის ექსპლოატაცია მოკავშირეთ არ სურთ, სცნობენ რევოლიუციაში შეუზღუდავათ და არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარებიან კონტრ-რევოლიუციონერებს.

მოკავშირენი არ დაეხმარებიან რუსეთში არც ერთ პარტიას, რომელნიც ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ ერთმანეთს ებრძვიან. მათი ერთათ-ერთი და გულწრფელი სურვილია მისცენ რუსეთს ზავი და გამოიყვანონ ამ მძიმე მდგომარეობიდან. მოკავშირე სახელმწიფოებს სურთ ჩამოაგდონ საერთო ზავი და ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევენ რუსეთს, რადგან ევროპაში შეუძლებელია ზავი და მშვიდობიანობა, სანამ რუსეთში არ იქნება სიმშვიდე. ამიტომ მოკავშირეთა სურვილია მოეხმარონ რუსეთს და იზრუნონ მისთვის და დახმარება გაუწიონ იმ ფორმით, რომელიც მისთვის მისაღები იქნება.

მომავალ შაბათს გარეშე საქმეთა სამინისტროში შესდგება საზავო კონფერენციის ახალი პლენარული და საჯარო სხდომა. სხდომაზე ხალხთა ლიგის საკითხს შეეხებიან. ლოიდ ჯორჯის წინადადება, რომელიც პატარა პუნქტებისაგან შესდგება და რომელიც ეხება ხალხთა ლიგის შედგენის საზოგადო პირობებს, მსჯველობის მთავარი საგანი იქნება. წინადადების შიგნების შემდეგ ვილსონი წარმოადგენს პროექტს, რომელიც შეადგინა ლეონ ბურჟუას, რობერტ სესილთან და გენ. ამეტტთან კამათის შემდეგ. ეს პროექტი აერთებს ამ საში დელეგატის მიერ გამოთქმულ აზრს. უკანასკნელნი მიიღებენ მსჯელობაში მონაწილეობას, გამოსთქვამენ თავის პირად შეხედულებას და ზოგიერთ დაწვრილებით ცნობებს ხალხთა კოდექსის ცხოვრებაში გატარების შესახებ. ამ საკითხის დაწვრილებით შესწავლა დაგვალება ხალხთა ლიგის სპეციალურ კომისიას. დაარსდება აგრეთვე კომისია, რომელსაც დაეკვალება გერმანიის მიერ მიყენებულ ზარალის რაოდენობის გამოკვლევა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

ინგლისის პრესის ცნობები.

„ტაიმს“ის ცნობით ადვილი შესაძლებელია რომ ზავის შეკვრამდე ინგლისმა მხოლოთ ერთი მილიონი ჯარი დასტოვოს იარაღ ქვეშ.

ინგლისის ავტონომიურმა ახალშენებმა, რომელთაც წარმომადგენლები ჰყავთ საზავო კონფერენციაზე, შუამდგომლობა აღძრეს ხალხთა ლიგაში შეიყვანონ ისინი იმ ქვეყნებთან ერთად, რომელნიც შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი იქნებიან, ხოლო დარჩება ინგლისის კანტროლი მათ საგარეო საქმეებში.

პორტუგალიის სამხედრო ნაწილში გაიმარჯვა მონარქისტულმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში კონგენო უდგას. კონგენომ ქ. ოპორტოში შეადგინა მთავრობა და მანუელი მეფედ გამოაცხადა, შიუხედავად მონარქისტების მეთაურთა წინააღმდეგობისა, რომლებმაც პრეზიდენტს უჩვენეს მანუელის დეპეშა, რომელშიაც ის წინააღმდეგია მონარქიის აღდგენისა.

იანვრის 27 კლაიდის ვერფის ინჟინრები და მუშები გაიფიცნენ. გაფიცვის მიზანია 8 საათის სამუშაო დღის და კვირაში 40 საათის მუშაობის შემოღება ჯამაგირის დაუკლებლათ.

გერმანიის ეროვნულ ყრილობის არჩევნების შედეგი სამოლოოთ ჯერ გამორკვეული არ არის. სულ უნდა იყოს არჩეული 433 დეპუტატი. აქედან 51 მანდატის შესახებ არავითარი ცნობები არ არის. უკვე გამორკვეულ 382 მანდატიდან 159 სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიას ეკუთვნის, 74 ქრისტიან სახალხო პარტიას, 22 დამოუკიდებელ სოც. დემოკრატებს, 20 გერმანიის სახალხო პარტიას, 3 ბავარიის გლეხთა კავშირს და 4 წვრილ ჯგუფებს. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობას სოც.-დემ. უმრავლესობის პარტია და გერმანიის დემოკრატიული შეადგენენ. ორივე სოციალდემოკრატიულ პარტიებს აქამდე აქვთ სულ 180 მანდატი. აქედან ცხადია, რომ სოც.-დემოკრატები უმრავლესობას ვერ შეადგენენ, რადგან ამისათვის 217 მანდატია საჭირო. მაშასადამე, მომავალი მთავრობა შეადგენილი იქნება მტკიცე, ნამდვილ პარლამენტალურ საფუძველზე და სოც.-დემ. და დემოკრატიულ პარტიებისაგან.

„დეილი ექსპრეს“ს ბერლინიდან აუწყებენ, რომ გერმანელები ათიათასობით თავს იყრიან ნავთსადგურებში ყველა სახელმწიფოებთან სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციების გასაახლებლათ.

საზავო კონფერენციის გადაწყვეტილება, რომ ხალხთა ლიგის დაარსების პირობები მხოლოდ მეომარ სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ, ნეიტრალურ ქვეყნებში უკმაყოფილებას იწვევს.

ზერმანული პრესის ცნობები.

იანვრის 20 ბრანტონგი დიდ ხანს ეთათბირა სახალხო კომისარს ებერტს. თათბირის დროს დაწვრილებით განიხილეს შემდეგი საკითხები: საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის მოწვევის, გერმანიის შინაური მდგომარეობის და აგრეთვე გერმანიისთვის სურსათის და ნედლი მასალის მოწვდენის საკითხი.

პარიზის გაზ. „ექსცელსიორ“-ის ცნობით ინგლისის მთავრობამ ნამდვილ მთავრობათ აღიარა პოლონეთის ეხლანდელი მთავრობა პოლიტი პილსუცკის მეთაურობით.

აღმოსავლეთ პრუსიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქის პოლონელები რაზმებს ადგენენ ბალშევიკებთან საბრძოლველათ. რადგანაც გერმანიის მოსაზღვრე ოლქებში პოლონელებმა მრავალად მოიყარეს თავი, რაზმების შედგენას უნდობლათ უყურებენ და ფიქრობენ, რომ მათი შედგენას სხვა მიზანი აქვს.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ეროვნული ყრილობა ზესდგება თებერვლის 6 ვეიმარში.

იანვრის 20 გერმანიის ჯარმა ნაშუადღევს დაიჭირა გეტცვალდე, ზამოში და ტურელამე ჯავშნიან მატარებლების დახმარებით პოლონელები ჰოპფერგარტენიდან განდევნეს. მათ წაართვეს 3 ტყვიის მფრქვეველი და 9 პოლონელი ტყვეთ წამოიყვანეს.

ზემო შლეზვიგის და რუტის მაღაროების რაიონში გაფიცვები ისევ გაძლიერდა. ზემო შლეზვიგში 20 იანვარს არ მუშაობდა 30,000 მუშა, რურში კი 10,000 მუშა.

სწორ გამოანგარიშებით გერმანიაში შიმშილისაგან გარდაიცვალა 500 000 კაცი.

დანციგის მაგისტრატი დაცვას სთხოვს გინდენბურგს. გენერალ-ფელდმარშალი დაპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებს რათა ხელი შეუშალოს გერმანიის ქალაქ დანციგის გერმანიისაგან ჩამოშორებას.

როგორც ეხლა ირკვევა, გინდენბურგი იღებს თავის თავზე აღმოსავლეთის საზღვრების დაცვას.

ქალაქის მოსამსახურეები

უნდა აღვნიშნოთ, ჩვენდა სამწუხაროთ, რომ ქალაქის მოსამსახურეები დღეს წარმოადგენენ კონტრ-რევოლიუციონერთა მუდეს.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ძველმა, ხატისოვის საბჭომ, გადასცა ახალს მოსამსახურეთა მეტათ ცუდი უხეირო პერსონალი, რომელიც ხშირათ სდგებოდა ქალაქის მამების ნათესავ მეგობრებისგან.

ახალმა საბჭომ მოინდომა ასეთი უვარგისი და „ნათლი-მამიობით“ შედგენილი შტატის გაწმენდა, მაგრამ ეს ვერ მოხდა, რადგან თვით საბჭოშიაც ვერ იყო შესაფერი ძალთა განწყობილება. თვით ის საბჭო, რომელიც ამ დღეებში უნდა ჩაბარდეს არქივს, ვერ იყო საკმარისი ქალაქ თფილისის დემოკრატიის ინტერესთა გამომხატველი, პირიქით, ის ებრძოდა ამ დემოკრატიას, უცხადებდა მას პროტესტს სმირნოვ-პოპოვ ხუდადოვების პირით და აქედან ძველ მოსამსახურეთა შტატი არა თუ გაიწმინდა, არამედ—იქ მოიკალათეს კიდევ სხვებმაც, რომელნიც ჩვენი დემოკრატიის ზიზღით არიან გაჟღენთილნი.

დღეს, როცა საქართველოს დემოკრატიის ერთსულოვნობა, როცა ჩვენს ხალხს ესაჭიროება გულწრფელი მუშაკები, ქალაქის მოსამსახურეები მხოლოდ პროტესტ პროტესტზე უგზავნიან ჩვენს მთავრობას, ხელენ ამომრჩეველთა სიას და აწარმოებენ საზიზღარ პოლიტიკას, რომელიც გამოიხატება ბრძოლაში ყველა იმ მოსამსახურეებთან, რომელნიც სდგანან სწორ გზაზე და არ ისახავენ თავის მიზნათ ჩვენი დემოკრატიული მთავრობის დანგრევას.

საჭიროა ამ მოვლენას მოეღოს ბოლო.

ახალი საბჭო იმედია მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას მოსამსახურეთა შტატს და მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ შექმნას დემოკრატიის ინტერესებით გამსჭვალული მოსამსახურეთა შტატი.

ამ დღეებში ზოგიერთ მოსამსახურეებში, რომლებიც ვერ ურიგდებიან ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის, საზიზღარ პოლიტიკას, უკვე დაიბადა აზრი შექმნან დემოკრატიული ცალკე კავშირი, რომელიც დაუპირდაპირდება ძველ კავშირს და იმეცადინებს დაანგრიოს ეს კონტრ-რევოლიუციონური ბუდე.

იმედია ყველა ამხანაგები, დროზე შეიგნებენ და შემოკრებიან იმ საინიციატივო ჯგუფის ირგვლივ, რომელიც იწყებს მუშაობას შეადგინოს კავშირი ისეთი ამხანაგებისაგან, რომელთა ინტერესი მარტო გროშებისთვის ბრძოლაში კი არ გამოიხატება, არამედ—მიზნათ ისახავენ ხელი შეუწყონ ჩვენს დემოკრატიას საკაცობრიო იდეალებისთვის ბრძოლაში და რევოლიუციის მონაპოვართა შერჩენაში. ა. რუხაძე.

შავი სახადი და თფილისის სანიტარია

როცა გასულ ზაფხულში ხოლერა გაჩნდა თფილისში და ფართო ხასიათი მიიღო, მაშინ მე რამოდენიმე წერილები ვუძღვენი ამ საკითხს. ამ წერილების მიზანი იყო მიმეტანა ხმოსნების ყურადღება ქალაქის ანტი-სანიტარულ მდგომარეობაზე, მაგრამ ჩემი წერილები დარჩნენ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. არც ეხლა მაქვს იმედი, რომ შეეძლებ ხმოსნების ყურადღება მივაქციო ამ დიდ საკითხე, მაგრამ იმავე დროს არც გაჩუმება შემიძლია. განსაკუთრებით იმიტომ ვერ გავჩუმდები, რომ ის უმთავრესი მიზეზი, რომელიც ჩემის ფიქრით იწვევს თფილისის სანიტარული ორგანიზაციის „პარალიჩს“ და რომელიც ჩემთვის ცხადი იყო გასულ ზაფხულშიც და არ იყო ცხადი ამხ. ხმოსნებისათვის—ის მიზეზი ეხლა დღესაც ნათელი ხდება ყველასათვის. მიზეზი გახლავთ იმაში, რომ თფილისის დემოკრატიულ გამგეობასა და მის დაქირავებულ თანამშრომელთა შორის ყოველთვის იყო დიდი ორომ, რომელშიაც დაუტრებლათ და წეს აუგებლათ იმარხებიდნენ ქალაქის გამგეობის ბევრი დადგენილებანი და განკარგულებანი. აღმასრულებელი ძალა მოსამსახურეების ხელშია, რომლების შემადგენლობა მტრულ განწყობილებაში იმყოფება ჩვენს რესპუბლიკასთან. ამის დამამტკიცებელ საბუთებს იძლევა ქალაქის მცხოვრებთა აღწერა და საარჩევნო სამზადისი.

ვფიქრობ, რომ სანიტარიაშიაც ცუდი აღმასრულებლები ყავს გამგეობას. მართლაც და რას აკეთებს ქალაქის სანიტარული ორგანიზაცია ამ საშინელი ეპიდემიის ხანაში?! კანონის ძალით შავი სახადინი ავადმყოფი იმ წამსვე უნდა იქნეს წაყვანილი საავადმყოფოში, როგორც კი აცნობებენ ქალაქის სანიტარულ ორგანიზაციას. ნამდვილათ კი 4—5 დღე გადის შეტყობინების შემდეგ ავადმყოფის წაყვანამდი, რაც ხელს უწყობს სენის გავრცელებას.

თუ კერძო ეტლით მიიყვანეთ სახადიანი საავთმყოფოში, ამ ეტლს დეზინფექციას არ უშვრებიან და სენი გადადის მათზედ, ვინც ეტლში ჯდება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი საბჭო დღიდან თავისი არსებობისა დიდ ყურადღებას მიაქცევს დანგრეული და მივიწყებულ სანიტარული ორგანიზაციის შექმნას, მაგრამ საბჭო მომავლის საკითხია. დაყოვნება შეუძლებელია, როდესაც საშინელი სენი მუსრს ავლებს ხალხს. ამიტომ, თუ ქალაქის გამგეობა უძლურია რაიმე გააკეთოს, მთავრობა უნდა ჩაერიოს ამ საქმეში. მე პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ მთავრობის ჩარევის საექიმო სასანიტარო საქმეებში, რომლებიც შეადგენენ მხოლოდ ადგილობრივი თვითმართველობების ფუნქციას, მაგრამ იმ მდგომარეობიდან, რომელიც თფილისში შეიქმნა სხვა გამოსავალს არ ვხედავ.

განსაკუთრებით მინდა მივაქციო ვისიც ჯერ არს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა, როგორც იცით, ფრიად აგრესიული პოზიცია დაიკავეს ჩვენი მთავრობისადმი. ამიტომ, თუ ქალაქის მოსამსახურეთა კავშირში შედიან საექიმო სასანიტარო დაწესებულებებში მომუშავენი და მონაწილეობა მიიღეს ცნობილ რეზოლიუციის მიღებაში, მაშინ განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაწესდეს მათზე, რომ პოლიტიკური მიზნით არ შეიფერხონ ეპიდემიასთან ბრძოლის საქმე. დღევანდელ მომენტში საექიმო პერსონალმა უნდა განავითაროს მაქსიმუმი თვისი ენერგიისა.

ქალაქ თფილისს სანიტარიას პატრონი არა ჰყავს! ექ. ნ. რუხაძე.

მოქალაქენო!

დაშნაკცუტიუნის პარტია ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას და მით ძირს უთხრის რევოლიუციას.

არც ერთი ხმა დაშნაკცუტიუნის პარტიას.

ყველა ხმა რევოლიუციისა და დემოკრატიის მესვეურს სოციალ დემოკრატიულ პარტიას № 1.

მუშათა მოძრაობა

თფილისი. 22 იანვარს შესდგა ქალაქის ფურნეებში მუშამოსამსახურეთა კრება. გასარჩევი იყო: 1) ფურნეებში შეჩერებული მუშაობა და მუშების მდგომარეობა, 2) ჩვენი შეხედულობა ქალაქის მოსამსახურეების პროფს. კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაზე ქალაქის არჩევნების და დამფუძნებელ კრების შესახებ, 3) არჩევნებში მონაწილობის მიღება. კრებას დაესწრნენ შემდეგი ფურნეებიდან, 1 ფურნიდან—14 კაცი, მე-4—35, მე 5—11 კაცი. კრებამ ერთხმათ აირჩია თავმჯდომარეთ სოლომონ კაშია, მდივნათ სერგო ორაგველიძე. კრებამ დაადგინა პირველის საკითხის შესახებ, თუმცაღა მუშაობა შეწერებულია, მაგრამ მუშები ჯამაგირს მაინც ღებენ, რომ ეგრე დიდ ხანს არ გაგრძელდეს, ეთხოვოს, სადაც ჯერ არს, რაც შეიძლება მალე იქნეს განახლებული მუშაობა. მეორე კითხვის შესახებ დაადგინა: კრება მოესალმოს ტრამვაის მუშათა პროფესიონალურ კავშირის დადგენილებას და მიიღოს უცვლელათ კავშირის მიღებული რეზოლიუცია. მასთან დაუმატოს მეოთხე მუხლი, პროკენტები ქალაქის კავშირის სასარგებლოთ დღეიდან აღარ იქნეს მიცემული. ამასთანავე იქნა ოთხი წარმომადგენელი არჩეული ტრამ. მოს. პროფ. კავშირში, რომ შეეერთდეთ დროებით, სანამ ქალაქის ნამდვილი დემოკრატიულ პროფესიონალური კავშირი შედგებოდეს. მესამე კითხვის შესახებ: ენერგიული მონაწილობა მივიღოთ ორივე არჩევნებში—როგორც ქალაქის, ისე დამფუძნებელ კრებაში. არჩეული ბრიან სოლომონ კაშია, არკადი ოქოლაშვილი, მიხა ოთარაშვილი და ბაგრამ გიორჩოღლი.

თავმჯდომარე ს. კაშია, მდივანი ს. ორაგველიძე.

თბილისის დაკვლევანი მუშა-მეტყვანთა კავშირი თანახმად გამგეობის დადგენილებისა 6 (იანვრიდან) ახდენს ხელ ახალ რეგისტრაციას, რისთვისაც გამგეობა სთხოვს ყველა წევრებს, უმეტეს გასული 1917 წ. მაისიდან აპრილამდე ჩაწერილებს, თავიანთი საწევრო ბილეთებით გამოცხადნენ კავშირში. ელისაბედის ქუჩა № 14, ოთახი 5.

წევრების ჩაწერა ხდება ხუთშაბათს და შაბათს 6—9 საათამდე; ახალი წევრებისა—ყოველდღე, იმავე დროს.

გამგეობა.

შრომის ბირჟის განმარტება. ამ ბოლო ხანებში შრომის ბირჟაში შემოდის მოთხოვნილებები მხოლოდ კერძო დამქირავებელთა. ესენი მეტად აუტანელ პირობებს აწოდებენ მუშებს. მაგალითად, მეეზოვეს 100—150 მ. თვეში. შაგ მუშებს 15—17 მ. დღეში; ოჯახში მოსამსახურე ქალებს 30—40 მ. თვეში და სხვ. შრომის ბირჟა იღებს რა მხედველობაში საბაზრო ფასებს, არ ღებულობს ასეთ მოთხოვნილებებს, რაც იწვევს დამქირავებლებში მეტ უკმაყოფილებას. იმათი აზრით ბირჟამ აუცილებლად უნდა მიიღოს ასეთი მცირე ხელფასიანი მოთხოვნილებანი, ვინაიდან ქალაქში ამჟამად უმუშევართა მეტად მნიშვნელოვანმა რიცხვმა მოიყარა თავი. შრომის ბირჟა ვალდებულად სთვლის თავს აცნობოს ყველა დამქირავებელს, რომ მათი მოწოდებული ხელფასი მეტად მცირეა. ყოველად შეუძლებელია ასეთი ხელფასით ისაზრდოონ თავი ასეთ მძიმე და აუტანელ ცხოვრების პირობებში. ასეთი ხელფასი არ აძლევს მუშებს საშუალებას დაიკმაყოფილონ თუნდ მცირედი მოთხოვნილებანი. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ კავშირის დადგენილ ფასებს მუშებისათვის. საბაზრო ფასებიც, რომელიც დიდი ჭეონიათ დამქირავებლებს, მცირედია ვიდრე ყოველდღიური სასაზრვო მინიმუმი. დამქირავებლების მითითება იმ ფაქტზე, რომ დღეს ქალაქში მეტად დიდი რიცხვია უმუშევართა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უმუშევრებმა უნდა დათანხმდენ მცირე ხელფასზე. შრომის ბირჟამ გამოცდილებით იცის, რომ მცირე ხელფასი არ არის სასარგებლო არა მარტო მუშებისათვის, არამედ დამქირავებელთათვის. უმუშევრები, რომელნიც იძულებული არიან დათანხმდენ მცირე ხელფასზე, აგრძელებენ სამუშაოს ძებნას უკეთეს პირობებში; როგორც კი ნახულობენ მაშინვე სტოვებენ ძველ ადგილს, ეს კი მეტად ვნებს თვით საქმეს. მცირედი ხელფასი არ არის გამოსადეგი დამქირავებელთათვის კიდევ იმ მხრივ, რომ, რაც მეტად მცირეა ხელფასი და პირობები მეტად აუტანელი, იმდენად შრომის ნაყოფიერება ნაკლებია. უწევს რა ანგარიშს შრომის ბირჟა ყველა ზემოხსენებულ მიზეზებს, არ ღებულობს მცირე ხელფასიან მოთხოვნილებებს და არც აგებს პასუხს ასეთ პირობებში მომუშავე მუშების ნამუშევარზე.

შრომის ბირჟის მიზანია არა მარტო სამუშაოს შოვნა უმუშევართათვის, არამედ—ორივე მხარეს გაუგებინოს მიზეზი მათ შორის უთანხმოებისა.

ბუშეგო! ომიანობის ხანაში ყველგან მუშებმა ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული დაჩაგრეს.

სოციალდემოკრატიამ საქართველოში მოიპოვა 8 საათის სამუშაო დღე.

ხმა მიეცით მუშათა პარტიის სიას № 1.

ს.-დემ. პარტიაში

ძ. სამტედია. 3 იანვარს შესდგა სამტრედიის რაიონის ს.-დ. კომიტეტის და სამტრედიის კოლექტივის შეერთებული კრება. თავმჯდომარეობს ამხ. გ. დუნდუა. ის აცნობს კრებას ამხ. ვენეს გარდაცვალებას და ამხ. გვარდიელების (იგივე პარტიის წევრების) ჩვენს რაიონიდან სომხეთის ფრონტზე გმირულათ დაღუპვას და მოუწოდებს კრებას პატივი სცეს მათ ხსოვნას. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხანაგების ხსოვნას. შემდეგ მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ პაპავა, ის აცნობს კრებას ომის წარმოშობის ისტორიას (სომხეთ საქართველოს შორის) და აღნიშნავს, თუ როგორ ემზადებოდა სომხეთის მთავრობა ომისათვის, ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას კი მშვიდობიანობის მოყვარეობა არ აძლევდა საბუთს მომზადებულიყო საომრათო—დაათავა მან. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „შეერთებული კრება რაიონულ კომიტეტისა და სამტრედიის კოლექტივისა იზიარებს მთავრობის პოლიტიკას დროებითი ზავის შეკვრის შესახებ და მთავრობის პირველ დაძახილზე მზათ არის ფეხზე დადგეს და დაიცვას სისხლით საქართველოს დამოუკიდელობა და თავისუფლება“.

შემდეგ კომიტეტის სხდომა გადადის სხვა კითხვებზე.

აქ არსებობს მეომართა დამხმარე კომიტეტი (რაიონული), საიდანაც მოხსენება გააკეთა ამხ. რ. მიქაძემ. კომიტეტმა დაადგინა: დაევალოს ყველა პარტ. ამხანაგებს დახმარება აღმოუჩინონ სოფლებში მეომართა დამხმარე კომისიებს. თავის მხრივ კომიტეტი ეხმარება 200 მანეთით.

კომიტეტის პარტიულ სასამართლოს წევრებათ იქნა არჩეული ამხ. ამბაკო ჯანელიძე, ვანო კიკაბიძე და ლეო დუნდუა.

ამხ. ვანო კიკაბიძემ რადგან ის არის რკინის გზის რაიონულ პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე და თავისუფალ დროს ვერ შოულობს, ითხოვა განთავისუფლება კომ. ბიუროს წევრობიდან. კომიტეტმა ის გაანთავისუფლა და მის მაგიერ ბიუროს წევრათ აირჩია ამხ. პავლე წულაია.

სარევიზიო კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ: ამხ. გიგო შენგელია, კოსტა ჩაჩუა და ევგენი ძიძიგური.

მოიხსმინა კომიტეტმა ბიუროსაგან მოხსენება 5000 მანეთის სესხის აღების საპროგრამის შესახებ და დადგინა: აღებულ იქნას 5000 მ. სესხი ვალებისა და მიმდენარე ხარჯების დასაფარავათ.

განხილულ იქნა ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა, რომელიც თხოულობდა ქალაქის სასადილოსათვის პარტიულ კლუბის დარბაზისა და ორი ოთახის დათმობას. სხდომამ უხერხულად სცნო პარტიულ დაწესებულებაში სასადილოს მოთავსება, რადგან ამით ხელი შეეშლება პარტიულ მუშაობას და შუამდგომლობა უარჰყო.

სხდომამ დადგინა შეიძინოს ლატარიის 10 ც. ბილეთი ღირებული 250 მ.

ლევანინი.

მოქალაქენო! ნაციონალისტები მუდმ ომის გაჩაღებას ელტვიან. მათ ხალხის სიხლი არ ენანებათ. სოციალ დემოკრატია მშვიდობიანობის მოტრფიალეა. სოციალ-დემოკრატიამ შეხძლო ხომხეთთან ომის დროზე დაბოლოვება.

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

პროვინცია

საბარეჯო. ეს სოფელი ითვლება ცენტრად, როგორც კულტურულად ისე ტეხნიკურად ივრის ხეობაში. აქ არსებობს შემდეგი კულტურული დაწესებულებები: ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, არსებობს თეატრის დარბაზი, უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფი, საფეიქრო სასწავლებელი, საცდელი მინდორი, ბანკი, მომხმარებელი საზოგადოება „იორი“. რაც კახეთის რკინის გზამ დაიწყო მოძრაობა, დიდი გამოცოცხლება დაეტყო ჩვენს სოფელს, რომელიც ბუნებისაგან უხვად არის დაჯილდოებული. არის გამოყვანილი მილებით წყალი. ზაფხულობით დიდძალი მოაგროვებენ გვიწვევიან ხილმე, რომელნიც ბევრი წილი უკან ბრუნდებიან, რადგანაც სახლებს ვერ შოულობენ.

თუმცა ყველა კულტურული დაწესებულება გვაქვს, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს სოფელს, ეს არის უგზოობა და უსუფთაობა. რკინის გზის სადგურიდან სოფლამდის გზა გაფუჭებულია, რაც აფერხებს წესიერ მიმოსვლას.

აქ მუშაობს ორი პარტიული ორგანიზაცია: სოც. დემ. და სოც. ფედ., შემდგარია ადგილობრივი სახალხო გვარდია. 18 იანვარს მოხდა კრება სკოლის შენობაში ფრონტიდან დაბრუნებულ გვარდიისა, რომელსაც დაესწრო ასზე მეტი გვარდიელი. კრებას დაესწრო თფილისიდან სასოფლო კომისიის წევრი ოქრო ლაცაბიძე, რომელმაც ვრცელი მოხსენება გააკეთა დღევანდელი მომენტის შესახებ. დასასრულ კრება შეუდგა არჩევნებს. რწმუნებულათ ერთხმად აირჩიეს ი. აზარიაშვილი, მდივნათ მიტო ჯაბადარი, ხაზინადრათ კოლა ქურდოვანიძე. კრებ ს გათავებისას გაიხსნა სოც. დემ. პარტიის კრება. მოხსენებები გააკეთეს ოქრო ლაცაბიძემ და შაქრო ჯაფარიძემ.

19 იანვარს იორდანეზე გაიმართა დიდმნიშვნელოვანი სახალხო მიტინგი, რომელსაც დაესწრო დიდძალი ქალი და კაცი. ილაპარაკეს ო. ლ—ძემ და შ. ჯ—ძემ. ხალხი ერთხმად ადგენს მისცეს ხმა იმ პარტიას, რომელმაც დღევანდლამდე მთლიანად გადაარჩინა საქართველო. გიმართა პარადი გიორგი აღდგომელაშვილის მეთაურობით სახალხო გვარდიისა. მიტინგის გათავებისას ხალხმა მწყობრათ და ტკბილი სიმღერით ჩაიარეს ბაზარზე.

3. გარეჯელი.

მოქალაქენო! თითქმის მთელ რუსეთში მიწას ისევ მსხვილი მემამულენი დაეპატრონენ.

სოციალდემოკრატიამ ჩამოართვა საქართველოში მიწა მემამულეებს და ის მშრომელ გლეხკაცობას გადასცა.

ხმა მიეცით სიას № 1.

განცხადებანი

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ცივება) და მისი შედეგებით დასნეულებულნი, ხიხლიან ნაკლებობით, გუდინა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან ნნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მისკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

კბილის ხიკამი კაბინეთები

თეოდორე ხაჟმაანელის ძე ცხოველიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: ალოფბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი

ა. ნ. ფატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონ(კოვის ხიდის ახლოს).

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი ფ. ა. ფაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშბაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლლას ქ. № 33.

ექიმი ფ. ი. ფაფაკიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½, საათამდე, საღამოს 5—6½. მიღებისა ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ბაქინა თვალის ექიმი

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონნინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლოს) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი

კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ (914, 606 შეშბაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი

ექიმიციანის დოქტორის

გ. მერაგოვისა

(რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა.

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს სპეციალურად ფილტვების, **ელექის** ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

საწოლებს უფასოდ.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

კვირას, 26 იანვარს 1919 წელს გაიმართება

სალიტერატურო დილა

დახოცილ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოთ. მიიღებენ მონაწილეობას სახელმწიფო თეატრის მსახიობნი, სამუსიკო სასწავლებლის მოწაფენი და სხვანი.

დასაწყისი დილით 11½ სათ. ფასები ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება კასაში დილიდან.

მეოთხე რაიონული კოლექტივი

კვირას, 26 იანვარს, დილის 11 საათზე თავის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლდის ქუჩა № 29) დანიშნულია ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საგანგებო

— საზოგადო კრება —

დღის წესრიგი: 1) ჩვენი საარჩევნო პლატფორმა. მოხსენებელი საქართველოს პარლამენტის წევრნი: ევგ. გეგეჭკორი და ვ. ჯუღელი; 2) მიმდინარე კითხვები. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(2—1) მე 4 რაიონული კოლექტივი.

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეოთხე რაიონის

(მე-8, მე-9 და მე-10 უბნების.) საარჩევნო კომისიები

იწვევენ მოქალაქეთა კრებებს შემდეგ ადგილებში: მე 8 უბანი. 1. კომერციული სასწავლებელი, კვირას, 26 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე.—2 მე-9 უბანი, წმინდა ნინოს სასწავლებელი (სასაფლაოსთან) კვირას, 26 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე.—3. მე-9 უბანი პეტრე დიდის სასწავლებელი (ჩერქეზოვის ქუჩა, 29.) კვირას, 26 იანვარს, დღის 12 საათზე.—4. მე-10 უბანი. ავქალის აუდიტორია კვირას, 26 იანვარს, დღის 11 საათზე.—5. მე-10 უბანი, სახალხო უნივერსიტეტი, კვირას, 26 იანვარს, დილის 11 საათზე.—

მომხსენებლები გაცნობენ მოქალაქეთ საქარ. ს. დ. მ. პ. საარჩევნო პლატფორმას.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ხ. ი. ევლახოვისა.

შაბათს, 25 იანვარს **ბალეტის გენეფისი** შაბათს, 25 იანვარს

I ბალეტის დივერტისმენტი, II. ალეშკოს, იანსას, მორიზოვას, ინაშვილის მონაწილეობით

სოფლის ღირსება III **გრძნეული ფლეიტა**

კვირას, 26 იანვარს, დილით: კატა, თხა და ცხვარი, 7 ცოცანა, წითელი ქუდი, ძოლა ბალტიკაში. საღამოს ადმინისტრატორ გურგენის ბენეფისი, „ბოლშევიკის ზლაპრები“.

დია ჩიანელი

„ოემოდგოვის ცრემლები“

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, საწყობი-ქოლოსში „სოც.-დემ.“ რედაქციაში ტუტკუ გვარამიასთან,—ფასი 6 მან. (5—3)

საქ. სოც.-დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ქ. თფილისის საარჩევნო

ცენტრალური ბიურო

მოთავსებულია თფილისის კომიტეტის ბინაზე, გოლოვინის პროსპ. № 24, სახლი არაფელოვისა. დიაა ყოველ დღე გარეშეა დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ბიურო იძლევა ყოველგვარ საჭირო ცნობებს.

ბეჭდავს „ერთობა“-ს ბეჭდვითი სტამბა რუხაძისა, გიბაევის შესახვევი. № 1.